ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ37. 3723271001**

თარიღი:**28/09/2023**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამდივნო განყოფილების მე-4 რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის ნანა სიხარულიძისათვის დროებით დამატებითი ფუნქციების დაკისრების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის 3-ე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 2-ე პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის და ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლისა და 30-ე მუხლის პირველი პუნქტის *შესაბამისად,*

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამდივნო განყოფილების მე-4 რანგის პირველი კატეგორიის უმცროს სპეციალისტს - ნანა სიხარულიძეს, თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან განთავისუფლების გარეშე, დამატებით დაეკისროს, ამავე საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მე-3 რანგის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (საოქმო მომსახურების საკითხებში) თანამდებობისათვის დადგენილი ფუნქცია-მოვალეობების შესრულება 2023 წლის 2 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრის ჩათვლით და მას თანამდებობრივ სარგოსთან ერთად, დამატებითი ფუნქციების შესრულების პერიოდში, მიეცეს სახელფასო დანამატი თანამდებობრივი სარგოს 40%-ის ოდენობით.

მუხლი 2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია მხარეთა გაცნობისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი